1877—1895

№ 262
კვირა, 3 დეკემბერი 1895

ივერია

№ 262
კვირა, 3 დეკემბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
| --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვი გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

„ი ვ ე რ ი ა“
გამოვა 1896 წელსაც
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტ ფ ი ლ ი ს ი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ქართული თეატრი.
ოთხშაბათს, 6 დეკემბერს, 1895 წ.
ბენეფისი
ე ფ. ს. მ ე ს ხ ი ს ა.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
ქ-ნ ე. მესხისა და ბ. კ. მესხის მონაწილეობით
პირველად ახალი პიესა
მ ქ დ მ ა
დრამა 4 მოქ. და 6 სურათად სუვორინისა და ბურენინისა, თარგმ. დ. მესხის-მიერ.
მონაწილეობას ღებულობენ: ქ-ნ ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ. ბ-ნნი კ. მესხი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, ადამიძე და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „ჭირვეული ცოლის მორჯულება“ კომ. 5 მოქ. ვ. შექსპირისა, თარგმ. კ. მესხის-მიერ.
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

დაიბეჭდა და ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში
კ რ ე ბ უ ლ ი
არითმეტიკულის ამოცანებისა და რიცხვითის მაგალითებისა.
მოსამზადებელი კურსი
შედგენილი
რ. ჯაჯანაშვილის მიერ
გამოცემა მესამე,
შეუცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდგან, რომელიც მოწონებულია სახელ-მძღვანელოდ კავკასიის სამოსწავლო ოლქის სამზრუნველო რჩევისაგან.
ფასი ხუთი შაური.
10—8

აგინეტი კბილის ექიმთა
ი. პიჩინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.
მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.
ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9— სადამოს 4—7 საათამდე.

ვ ე ქ ი ლ ი ( ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ )

ვ კ ი ს რ უ ლ ო ბ
ყოველ გვარს სასამართლო საქმეს, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე მამულების ბანკებში დაგირავებას.
მსურველთ მოეგებმართონ დილის 8—10 საათამდე და სადამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

## ტფილისი, 3 დეკემბერი.

—

მართალია, ბევრი ლაპარაკი იმისთანა საქმეზე, როგორიც „კახეთის მეურნეთა კავშირის“ საქმეა, ზოგს არ იამება და იქნება სამდურავიც შემოგვითვალონ, მაგრამ ჩვენ ვერ შევუშინდებით ამ სამდურავს, რადგანაც იგი საქმე მეტად საყურადღებო საგნად მიგვაჩნია. ბევრს ვერ იპოვით ჩვენში იმისთანა ბიჯს, იმისთანა დაწყობილებას, იმისთანა სამოქმედოს რასმე, რომ ისე უკლებლივ, ისე ნიშნობლივ, ისე უკან დაუხევლად და პირდაპირ გატარებული იყოს წყურვილი თვით-მოქმედებისა, როგორც „კავშირის“ წესდებაშია. აქ ნაგრძნობია და ჰოუარაოდ აღიარებული, რომ სხვის ხელში ყურება, სხვისაგან მარანას ლოდინი, სხვისი ხვეწნა და მუდარება, სხვაზე ჩივილი გვჭამს და გვყლეფავსო, არიქა გვიშველეთ ვილუპებითო,—ვერაფერი ხიდია ჭირიდამ გამოსვლისათვის, ნამეტნავად მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ხელი გულს დაკვიკრებია, არას ვნაღვლობთ, არას ვდარდობთ და მარტო ჩივილყვირილის მეტს არას ვაკეთებთ. ეს ერთი სანუგეშო მხარეა ხსენებულ „კავშირისა“ და ფრიად სასიხარულოც მით, რომ აღძრულია აზრი თვით-მოქმედებისა და მისის აუცილებელ საჭიროებისა გაჭირებიდამ ხსნისათვის.

მეორე მხარე არა-ნაკლებ სანუგეშო და სასიამოვნო ის არის, რომ „კავშირს“ დაუნახავს ის ჩვენ-მიერ დიდის ხნის დავიწყებული და ჩვენგან დატოვებული ადგილი, საცა დღევანდელის დღის ვითარებისაგან ასე ცხარე ბრძოლაა არსებობისათვის და საცა ჩვენ ძლეულნი ვართ და სხვანი გამარჯვებულნი. სარბიელი ამისი დღევანდელი ეკონომიური ავკარგიანობაა და აი რა სარბიელზე საქიდაოდ იწვევს „კავშირი“ თვით-მოქმედების ძალ-ღონეს საზოგადოებისას. აღმოშობა, ფეხზე წამოყენება, თუნდ მარტო დასახელებაც იმისი, რომ თვით-მოქმედებაა ჩვენი მხსნელი ჭირ-ბოროტისაგან როგორც შემდეგში, ისეც დღევანდელ დღეს, სასიხარულო ნიშანია ჩვენის გამოფხიზლებისა, ჩვენის დაძინებულის აზრის დაძვრისა და მოქმედებისა მით უფრო, რომ ეს თვით-მოქმედების წყურვილი ხსენებულ სარბიელზე თვით საზოგადოებას გასჩენია და არა ორიოდე მწიგნობარსა, რომელთა ხმა ხშირად უდაბნოში მღაღადებელ ხმადა ჰრჩება ხოლმე, რაც გინდ მართალი და სახეირო იყოს.

ეს სანუგეშო მხარენი „კავშირის“ მიერ წამოყენებულ საქმისა მეტად საკეთილოდ საგრძნობნი არიან და ამიტომაც გძლად საუბარს ამაზე არ უნდა მოვერიდნეთ იმის შიშით, რომ ზოგი ჩვეული არ არის ამისთანა მშრალის საუბარის მოსმენისა და სამდურავს შემოგვითვლის,—რას აჭიანურებთ, მოვბეზრდითო.

ჩვენ წინა წერილში*) ვიკითხეთ: რადგანაც აუცილებელია პირველშივე საჭირო კაცთა სავსებით მოწვევა, რა ფული უნდა გაუძლვეს იმათს ჯამაგირს და გასამჯელოს და როგორ უნდა მოინაცვლოს ხელი „კავშირმა“, რომ ამის ხარჯს გასწვდეს? ჩვენ ისიცა ვთქვით ამასთან, რომ, თუ წესდებას „კავშირისას“ მივხედავთ, ამისათვის მარტო ორი წყაროა განზრახული. ერთი წევრთა ერთხანად შემოსატანი და მეორე ყოველ წლობითი. ძალიან ვეჭვობთ, რომ ამ ორმა წყარომ „კავშირს“ ღონე მისცეს სამოქმედოდ გამოსვლისა. წესდება ამბობს, რომ რაკი „კავშირს“ 50 წევრი ეყოლება, მოქმედება უნდა დაიწყოსო. რა უნდა გახდეს ამ 50 წევრის შემოსატანი საქმის დაწყებისათვის?

ერთხანად შემოსატანი დანიშნულია იმაზე, ვისაც ორმოც-და-ათ თუმანზე ნაკლებ წმინდა შემოსავალი აქვს ხუთი მანეთი და ვისაც მეტი წმინდა შემოსავალი აქვს—ერთი თუმანი და მერე ყოველ წლივ ასზე ერთი მთელის შემოსავლიდამ.

ავიღოთ,—თუმცა დაუჯერებელი კი,—რომ პირველშივე ასი წევრი ჩაე

*) იხ. „ივერია“ № 258.

# ფელეტონი

### მახვილი თუ ინდუსტრია?

პასუხი ბ-ნის ი—ს ღია წერილზე.

I

დიდად სასიამოვნო უნდა იყოს ყველა სინიდისიერი მწერლისათვის, როდესაც ჰკითხულობს და ისმენს თავისი აზრის წინააღმდეგს წერილებს, თუ ჰხედავს რომ ამ წერილების ავტორთ მათს მოწინააღმდეგესთან-კი არა აქვთ საქმე, აქვთ საქმე მათს აზრებთან, მათგან წარმოთქმულს სიტყვებთან. თუ გაისმის ამ წერილებში მოწინააღმდეგის სიძულვილი, მიტომ-კი არა, რომ ის არის ანტონ ფურცელაძე, პეტრე ოჩოპენტრე, ან კნიაზი ჩიფხაირალიძე, რომელთაგანაც რაღაცა წყენა ახსოვს ავტორს და ახლა აუღია კალამი, რომ გაჰხეთქოს მაზე თავისი გულის ბრაზი,—სძაგს მიტომ, რომ შენი აზრი, შენი სწავლა ეწინააღმდეგება მის აზრს, რომელიც იმას მიაჩნს წმიდათა წმიდათ, შეადგენს მისი გონებისა და აზროვნების უძვირფასესს განძს. აქ ჩნდება ბრძოლა პირთა შუა-კი არა,—არა მე გჯობივარ, არა მეო!—ჩნდება ბრძოლა აზრთა შუა. და თუ საქმე ჰღირს ბრძოლად, საქმე შეეხება საზოგადო ინტერესებს და მებრძოლნი ღირსეული აწონვილი იარაღითა და გონით სინჯავენ თავისს სადავო საგანს—ამგვარს აზრთა ბრძოლას, პოლემიკას მოაქვს სარგებლობა, როგორც მებრძოლთათვის, აგრეთვე მწერლობისა და საზოგადოებისათვისაც.

ამგვარს სასიამოვნო წერილს ეკუთვნის ი-ს ღია წერილი, მომართული ჩემდამო და ამ წლის „ივერიის“ მე-255 №-ში დაბეჭდილი. მართალია ამ წერილში იხახება სტრიქონსა და სტრიქონს შუა რაღაცა ამრეზილი გუნება ავტორისა, მაგრამ ისე თავისი მოწინააღმდეგის პიროვნებაზე არა, როგორც იმის აზრებზე, რომელნიც არ ეთანხმებიან ამის აზრთა.

ამ წერილში ბ-ნი ი ეხება იმგვარს აზრს, რომელიც დიდი ხანია აღელვებს და აშფოთებს ჩვენს საზოგადოებას და, თითქმის ერთხმივ აყენებს ერთს აზრზე, რომელიც წარმოითქვა დღეს ი-საგან ზემოხსენებულს ღია წერილში.

ბ-ნი ი ეხება დიდს, მწვავს საგანს და მით უფრო სასიამოვნოდ მიმაჩნია წარმოვსთქვა მე აქ ჩემი, დიდის ხნის გულში დაგუბებული აზრი, რომელიც არ ეთანხმება არაფერში ი-ს და მისთა მრავალთა თანამოაზრეთა აზრსა და განზრახვასა.

ი—ს წერილიდამ გამოდის ის აზრი, რომ სახსარი ჩვენის ხსნისა და ხალხთა შევიწროებისა და უსამართლობისაგან, რომელნიც ძველადვე შემოხიზვნიან საქართველოს, არის ის, რასაც მიჰმართეს ქუთაითელთ შესახებ ებრაელებისა. თუ ამ ხალხის დაწინაურებულთა პირთა არ შეასმინეს თავის ხალხს, რომ ჩვენს უსიამოვნობაზე ხელი აიღონ,—საწყაო აივსო და სხვა ღონე აღარ დაგვრჩენიაო...

საკვირველია, თითქო ჩვენი საქრისტიანო სწავლა სულ სახარებაზე არის აგებული და რატომ ასე მუდამ ავიწყდება ყველა ქრისტიანს სახარების სიტყვანი...

ჩავაფიქრდეთ პატივცემულო ი საქმესა და ავწონოთ: განა მწერლობის მხრივ საჭიროა კიდევ წაქეზება ამ საქმეში? განა უვიცს ხალხს კიდევ უნდა ამაში წასისიანება? მუშტსა და მახვილს დიდი ხანია იქნევს კაცობრიობა, და რა ბოლო მოჰყვა ამას?—ისა რომ კაცი დღესაც ვერ გამოსულა მხეცის ბუნებიდამ, თუმცა სწავლაც, განათლებაც ამისი ბევრად წინ წავიდა. და რომ კაცს ის ძალა და სახსარი, რაც მოანდომა სისხლის ღვრას, მოეხმარებინა ბუნებასთან ბრძოლაზე, თავის გონებრივსა, ქონებრივსა და ზნეობრივს განვითარებაზე, დღეს კაცობრიობა მხეცის ბუნებით კი აღარ იქნებოდა, იქნებოდა ანგელოსთა ბუნებით, და ჯოჯოხეთის წამების მაგიერად სამოთხის განცხრომილებაში.

მიჩვენეთ ხალხი, რომელსაც თავისს სახსრად მარტო მახვილი მიაჩნდეს, თავისი ძალა მარტო მახვილზედა ჰქონდეს დამყარებული და თავისი ბოლო მახვილზედვე არ გაეთავებინოს.

ძლიერი და ხანგრძლივი ბედნიერი ყოფილა მხოლოდ ის ხალხი, რომელიც მახვილისაგან უფრო ინდუსტრიას მოეჭიდებია. ამგვარი ხალხი ყოფილა გონებითაც, ქონებითაც, სახელმწიფო წეს-წყობილებითაც, საზოგადო მოწყობილებითაც, განათლებითაც დაწინაურებული.

ჩვენ-კი განა ან ისტორიულმა მაგალითებმა, ან ჩვენმა სხვა რიგად მოწყობილმა გარემოებამ დაგვაყენა ამ აზრზე, რომ მუშტისა და მახვილის წილ მივმართოთ ინდუსტრიას?

—არა! ჩვენის აზრით გამოდის: ჩვე ინდუსტრიით გვებრძვიან, ჩვენ მუშ ტითა და მახვილით გავცეთ პასუხიო ეს ხომ ველურის ხალხის წესია დ არა იმ ხალხისა, რომელსაც ჰსურ ისარგებლოს ცივილიზაციის ყოველ ნაყოფითა!..

ბრძანებთ: საწყაო აივსო და მ რა ვქნათო!

რა საწყაო? ის, რომ ჩვენა ვჭა და სხვები ინახავენ?!.

ვსჭამთ არამც თუ დღევანდელ დღეს, ვსჭამთ ხვალინდელს დღ საც, ვსჭამთ ჩვენთა შვილთა სი ლსა და ხორცსა, ვსჭამთ მათს ც ცოცხლეს.

მაშინ, როდესაც ეს ჩვენი შემ ხიზნულნი ხალხნი, რომელთა თქვენი აზრით, ჩვენი მოთმინებ საწყაო აავსეს, სცდილობდნენ სა ჩოს შეძენას, ხვალინდელი დღ გამაგრებას; სცდილობდნენ აღებმ ცემლობა, მრეწველობა, სწავლ განათლება, ყოველივე ინდუსტრი ლი ძალა ხელთ ჩაეგდოთ, ჩვენ დროს რას ვშვრებოდით?!.—ვქ ფობდით და მთელი სამშობლ ბედი, მთელი მამა-პაპათა ნაღვაწლ მამა-პაპათაგან სისხლით და მწა ოფლით შეძენილი და დაცული

წერა. ერთხანად შემოსატანი შეადგენს ასს თუმანს, ყველასი შემოსავალი ორმოც-და-ათს თუმანზე მეტი რომ ვიანგარიშოთ, თუმცა არც ეს არის დიდი საიმედო. სამწუხაროდ ჩვენდა, ყოველ წლობითს შემოსატანს წესდებაში განსაზღრული არა აქვს რა, რომ ანგარიში იქიდამ დავიჭიროთ! იქა სწერია ყოველ წლივ თვითვეულმა წევრმა ასზე ერთი უნდა შემოიტანოს წმინდა შემოსავლიდამაო. ამის გამო არ ვიცით, ნორმად ისევ ის ორმოც და-ათ თუმნის მეტ ნაკლებობაა მიღებული, თუ ნამდვილი ზედ-მიწევნილი შემოსავალი.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ ნამდვილი, ზედ-მიწევნილი შემოსავალია, თორემ ისე, როგორც ერთხანად შემოსატანია დანიშნული, შეუძლებელია ანგარიში, რადგანაც ორმოც-და-ათს თუმანზე მეტობა, თუ ნაკლებობა განუსაზღვრელი რამ არის და განუსაზღვრელი ანგარიშის სათავედ შეუძლებელია რომ დაიდვას. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველ წლობით შემოსატანი ზედ-მიწევნილ შემოსავალზე უნდა იყოს გაანგარიშებული, ესე იგი, თვითვეულ წევრს ცალკე უნდა აუნუსხონ შემოსავალი და ისე დააწერონ შემოსატანი ფული. დავანებოთ ჯერ იმას თავი, რაგვარად შესაძლებელია ამისთანა ანუსხვა შემოსავლისა, რომ არც მწვადი დაიწვას, არც შამფური, მარტო ის ვიგულისხმოთ, რომ იმ ასს წევრს ორთა შუარიცხვით ას ასი თუმანი წმინდა შემოსავალი აღმოუჩნდა. ვგონებთ, ეს მეტიც არის საგულვებლად და არა ნაკლები. აქედამ „კავშირს“ შეუდგა ასი თუმანი. ამ სახით პირველ ხანში საქმის დაწყებისათვის „კავშირს“ ხელთ ექმნება მარტო ორასი თუმანი. ამ ფულით ძნელად თუ რასმე გახდება კავშირი, ამიტომ-რომ სხვა განზრახული შემოსავლები „კავშირისა“ იმისთანანი არიან, რომელნიც საქმის გამართვას და წარმოებას მოსდევს. ჩვენ ამ ორასის თუმნის ანგარიშისათვისაც-კი ამისთანა მაგალითები ავიღეთ, რომელიც პირველ ხანში მოულოდნელია და მაინც ორას თუმანზე მეტი არ დაგვიდგა და რა უნდა ჰქმნას კავშირმა თუნდ ამ ორას თუმნითა? ეს ხომ საჭირო კაცებსაც ჯამაგირად არ გასწვდება და საქმეს რით-და მიაწვდინოს ხელი? ჩვენ, რასაკვირველია, დიდად გვიამება, რომ „კავშირმა“ ამ სიძნელეს გზა როგორმე აუქციოს და რითიმე ან როგორმე გაუძლვეს თვისდა განზრახულს საქმეს, მაგრამ ვშიშობთ კი, რომ იმედი პირველშივე არ გაუმტყუნდეს.

გარდა ამისა, რა ღონისძიება აქვს „კავშირს“, რომ ზედ-მიწევნილი წმინდა შემოსავალი აუნუსხოს საკმაო ზედ-მიწევნილობით წევრსა? ჯერ იმ სახელმწიფოებში, სადაც გადასახადი შემოსავალზეა დადებული, თვით სახელწიფოს, რომელსაც აუარებელი მოხელენი ჰყვანან და იმოდენა ღონისძიება აქვთ, ვერ მოუწყვიათ ამისთანა საქმე ისე, რომ ნამდვილი შეიტყონ, და „კავშირი“ როგორ მოახერხებს? ან რა საჭირო იყო ამისთანა ყინულზე წერა შემოსატანისა, როგორიც თვალისათვის უჩინარი შემოსავალია? განა ჩვენში ბევრმა-კი იცის რა შემოსავალი აქვს და ან გადაწყვეტით შეუძლიან ამისი თქმა? შემოსავალი ხომ დიდად სამიზეზო და მიზეზიანი საგანია და სად და როგორ აუვა „კავშირი“ ათასნაირს სამდურავს, იმას ცოტას ახდევინებ და მე ბევრსაო და სხვას ამისთანებს. თუნდ ეგეც არ იყოს, იმისთანა ქვეყანაში, სადაც მამულში დატრიალებულს კაცს ვერ გაუგია წელს რა შემოუვა და ხვალ რა, ხომ საჭირო იქნება ყოველ წლივ ხელ-ახლადი ანუსხვა შემოსავლისა და „კავშირმა“ ხომ თავისი დღე ამას უნდა შეალიოს?

ასეა თუ ისე, წესდება „კავშირისა“ ამ მხრით მეტად შეუმუშავებელია, მეტად განუსაზღვრელი და ბუნდი. სხვა ნაკლებულობა რომ არა სჭირდეს-რა, მარტო ეს ბუნდიანობა საკმაოა წესდება არ იქმნას შეწყნარებულ ვისგანაც ჯერ არს, თუ ესე წარსდგა დასამტკიცებლად. ჩვენ კი იმოდენად დიდი და კარგი გვგონია თვით დედა-აზრი, რომ ვისურვებთ ამ „კავშირის“-მიერ დაწყებულ საქმისათვის ყოველსავე სიკეთეს და გამარჯვებას.

# ახალი ამბავი

⁂ ხვალინდელს ჩვეულებრივს სხდომაზე ქალაქის საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს შემდეგ საყურადღებო საგნებს: ხმოსნის შახ-აზიზოვის მოხსენებას „პრიკაზში“ დაგირავებულ მამულების შესახებ, ამ მამულების პატრონთა თხოვნასთან ერთად; წყალ-დიდობისაგან დაზარალებულ მეტივეთა თხოვნას ზარალის შევსების შესახებ; სარევიზიო კომისიის სხვა-და სხვა მოხსენებას. ამ სხდომაზედვე დანიშნულია არჩევა ქალაქის მოურავის მოადგილისა და აგრეთვე ორის ასისტენტისა, რომელნიც ქალაქის მოურავთან ერთად უნდა დაესწრნენ მათის იმპერატორებით უდიდებულესობათა გვირგვინის კურთხევას მოსკოვში.

⁂ გუშინ, ნაშუადღევის 4 საათზედ ტფილისში ჩამოვიდა უგანათლებულესი თავადი სამეგრელოისა ნიკოლოზი.

⁂ რადგანაც ქალაქში დიფტერიტი მძვინვარებს, „ტფ. ლის.“-ის სიტყვით, გარდაუწყვეტიათ საგანგებო საავადმყოფო დააარსონ დროებით.

⁂ წყალ-დიდობისაგან გაფუჭებულ რკინის გზაზე ამ ჟამად დიდ-ძალი ხალხია შეგროვილი სამუშაოდ. ჩვენ გვწერენ, რომ მრავალი მოიჯარადრენი მეტად უსამართლოდ ექცევიან მუშა-ხალხს. მაშინ როდესაც თითო მუშის ქირათ ხაზინა იძლევა ორს, ორ მანეთ ნახევარს, მუშა იღებს მოიჯარადრისაგან სამ აბაზ ნახევარს, დიდი-დიდი ოთხ აბაზს. ნუ-თუ არავითარი საშუალება არ მოიპოვება, რათა ასე საშიშრად გალვიძებული მადა აილაგმოს?!

⁂ გაზ. „ნოვოსტი დნია“-ს სიტყვით, კავკასიაში რუსის ელემენტის გასაძლიერებლად განზრახვა თურმე აქვთ ადგილობრივ მმართველობის ყველა თანამდებობაზე რუსები დანიშნონ და არა ადგილობრივ მცხოვრებნი.

⁂ ნოემბრიდამ ტფილისის საკათედრო ტაძარში, სიონში, კვირაობით ლოცვის შემდეგ მუდამ იხდიან დაუჯდომელსა და ტფილისის სამღვდელონი ქართულს ენაზე ქადაგებას კითხულობენ. დღესაც, 3 დეკემბერს, წაკითხულ იქმნება ქადაგება და შემდგომშიაც განეგრძობა კვირაობით ქადაგების კითხვა.

⁂ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი „ლუკმა პურის ამბავი“, აღწერა კაცისა და ცხოვრებისა, თხზულება მასსესი. თარგმნილი ნიკოლოზ ავალიშვილის-მიერ, გამოცემული ზაქ. ჭიჭინაძისაგან.

ეს თარგმანი პირველად დაიბეჭდა 1869 წ. ჟურნალს „მნათობში“. თარგმანი მაშინათვე იქმნა მოწონებული. ახალი გამოცემა დაბეჭდილია სუფთად, კარგს ქაღალდზე, შეიცავს 306 გვერდსა და ღირს სამი აბაზი.

⁂ ს. მხეფი: დიდად შეგვაწუხა განუწყვეტელმა წვიმებმა. მთელი თთვე ისე გავიდა, რომ ერთი მზიანი დღე არ გვინახავს; ხან ერთობ სწვიმს კოკის-პირულად და ხან ქარბუქია. უზომო წვიმების გამო მდინარეები ადიდნენ. ხალხი დიდად დაზარალდა.

## კორესპონდენცია.

**ს. ვარდისუბანი** (თელავის მაზრა). ზამთრის სიახლოვემ მოგვაგონა ის უბედურება და ის ვაი-ვაგლახი, რომელიც გაისმის ხოლმე ამ სოფელში ამ დროს. ეს უბედურება უწყლობაა. ჩვენი დიდი სიმდიდრე, ჩვენი დიდი იმედი არის ერთი პატარა მდინარე. დადგება თუ არა ზამთარი, ეს მდინარე თან-და-თან გვშორდება. რამდენადაც თოვლი გვიახლოვდება, იმოდენად ეს მდინარე თვისს სათავესაკენ იწევს; ისე, რომ როდესაც ჩვენში თოვლი ფეხს მოიკიდებს, ეს მდინარე თავისს სათავეს მიეკვრის ხოლმე, სადაც კლდის მაგიერად დიდ-დიდს ყინულებს დაიკიდებს ხოლმე, რომ წყალი ქვევით არ გამოუშვას. ამ დროს სოფლის ხალხი იძულებული არის ზურგით ზიდოს წყალი ქ. თელავიდამ, რომელიც სამ ვერსზეა მოშორებული. მერე აქაც ვინ იცის, როდის უნდა ერგოთ ჯერი ავსებისა! ბევრჯელ მომლტებული სიცივისგან კოკა ზედ მხარზე გაეყინებათ ხოლმე. ზამთარში უწყლოობის გამო ხალხი ჭუჭყში იწვის, ხოლო საქონელი უწყლოობით იტანჯება, ხდება, გამხმარ საჭმელს ვეღარ ინელებს და უდროოდ ემშვიდობება პატრონს.

ეს ნაკლი 1894 წელს ხალხმა კარგად შეიგნო და ამის ასაცილებლად მოინდომა წყაროს გამოყვანა სოფელში, რომელიც სულ რომ ბევრი ვსთქვა, ოთხმოცი თუმანი არა ჯდებოდა, მაგრამ საუბედუროდ თვითვეულმა ოჯახმა თავის კარზე მოინდომა წყლის ლულის გამოყვანა, ასე რომ საქმე ისევ უწინდებულად დარჩა და ისევ ის უბედურება მოელის ხალხს.

პურისა და ღვინისა რაღა მოგახსენოთ! პური ჭრელად მოვიდა, ზოგს ორის წლის საზრდო მოუვიდა, ზოგსკი ექვსი თვისაც არა. ღვინის მოსავალი სულ სათქმელი არ არის; მარტო ბალღების ცოდვით არ ვიცით რა მოგვივა, რომ ხილი წრეულ სრულიად არ მოგვივიდა.

გელა.

1895 წ., 15 ნოემბერი.

**სოფ. ისულა** (სამეგრელო). კალამი ვერ ასწერს იმ უბედურებას, რომელიც ოქტომბრის თვის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა. კოკის-პირული წვიმების შემდეგ მდ. ტეხურა და რიონი ადიდდა და ვეღარ დაეტია კალაპოტში. მდ. რიონი ათი ვერსის მანძილზე გადავიდა და მოეფინა მთელს სოფელს. ვინ მოსთვლის, რამდენი სული საქონელი დაარჩო; ხოლო შინაური წვრილ-ფეხი საქონლის ანგარიში არავინ არ იცის. ხსენებულ მდინარეთა ნაპირებზე სიმინდი იყო დათესილი, მოსტეხეს და კალოებათ იყო მოგროვებული; სწორედ ამ დროს მოვარდა გაშმაგებული მდინარე და მთლად წალეკა... წყლის

---

ული ჩავაყარეთ ჩვენს სვავს მუცელს, ა ჩვენივე ხალხი, თავისავე ქვეყანა-ი, რომლისაც ყოველი ნაბიჯი გავლია მათი მამა-პაპათა მის დასაცვეად ჩაყრილი ძვლებით, მორწყუია მათი მამა-პაპათა სისხლით, უშვით „ბოგანოთ უცხო ტომთა ლში.

რატომ არ აივსო ჩვენი მოთმინეს საწყაო ზ. ი, როდესაც კახეთის ილი, არამც თუ საქართველოსი, ნება თვით მთელი ქვეყნის საუკესო მამულები კახეთისა წავიდა ნი—ხელიდამ ჩვენი სისუნაგით, ენი ქარაფშუტობით, ჩვენი... ათასაზიზღრობით?!.

რატომ არ აივსო ჩვენი მოთმინეს საწყაო, როდესაც საქართველოს ხრდოს სალარო, მთელი ბორჩაოს უეზდი ჩვენი თავქარიანობით, ქსუობით, ჩვენი სისუნაგით გადავი ჩვენი ხელიდამ უცხოთა ხელში გაივსო ეს ქვეყანა უცხო ტომით, ცხო თესლითა?!.

რატომ არ აივსო ჩვენი მოთმინე საწყაო, როდესაც გული და იძლი საქართველოსი, დედა ბოძი ბურჯი ჩვენი ქვეყნისა, ტფისი, ძველადვე მთელს აზიაში პირველ ქალაქათ გათქმული თავისი სიმაგრით და სიმდიდრით, რომელიც მთლად ერთიანად ეკუთვნოდა რამდენსამე ქართველთ თავად-აზნაურთა გვარს — შთავნთქით და ჩავაყარეთ ჩვენს გაუმაძღარს მუცელს, შევაჭამეთ კამელიებს, შევჭამეთ ათინის ღამეებში, ღვინოსა და ბანქოში?!..

რატომ არ აივსო და არ ივსება მოთმინების საწყაო, როდესაც ბორჩალოს ქართველობა, ქართველმავე დიდებულმა თავადმა, მისი თქმით, ქართველთავე საბედნიეროდ, — განდევნა თავისი მამულებიდამ, ამოჰხადა სულები მძიმე გადასახადებით, მიახწევინა ამოწყვეტამდის, ჩაათესლა მათს ალაგას უცხო თესლი, მისცა ამათ არამც თუ თავისი ქონება და თავისი თავიც შესაჭმელად?!. გესმით, ქართველი დიდებული ქართველთავე ჰმუსრავს... ქართველთავე საბედნიეროდ!!. აივსო განა ამით ჩვენი საწყაო?!.

გადით მრავლისაგან მრავალს ჩვენს საბატონო სოფლებში და ჰნახავთ, რა ხდება ქართველთაგანვე ჩვენი ქართველი ხალხის თავს. მთელი სოფლები იელიტებიან, სწყდებიან სახლეულობით. ერთი სოფელი, სადაც ამ ოცდა-ათი, ორმოცის წლის წინად ესახლა რვაასი კომლი და თვითო კომლში შუათანა რიცხვით ითვლებოდა თხუთმეტ სულამდის, ეხლა აღარ არის ოთხასი კომლი, ისიც შუათანა რიცხვით კომლში არ არის ხუთს სულზედ მეტი. იკვლიეთ, იძიეთ: რამ გაავლო იმათ მუსრი, და მიიღებთ პასუხს: მებატონეთა უჯათომა, აუარებელმა გარდასახადმა, შეუსვენებელმა ჯაფამ, უძილობამ, უსახლობამ, უსაგებობამ, უსაცმელობამ, ცდე და ღამ ცარიელს ნოტიოზედ გდებამ. დღიურს სახნავზედ იხდის აქ და ბევრგან სხვაგან მიწის მუშა ორს წილს; თვითონ უნდა მოჰხნას, დაჰფარცხოს, თავისი თესლით დასთესოს, მორწყოს, გამარგლოს, მომკას, მოიტანოს, გალეწოს და ორი წილი კარზედ მებატონეს მიართვას, ერთი წილი გაუშვას ცოლშვილის შესანახად და ათასი გარდასახადის გასაძღოლად. საწვავი შეშის გარდასახადს აძლევს უღელს ხარზე თხუთმეტს მანეთს, აძლევს საძოვარს, სარწყავი წყლის გარდასახადს და სხვა. და აქ, ცხადია ამგვარს მდგომარეობაში მყოფს ხალხს ადვილად ერევა ყოველივე ავადმყოფობა და თვით უბრალო სურდოც-კი ექცევათ ამათ სასიკვდილო სენად, და ევლებათ შეუწყალებლად მუსრი.

გკითხავთ თქვენ: რომელი ლანგთემური, რომელი შაჰაბაზი, რომელი ყრუ მურვანი-და უშვრებოდა ჩვენს ხალხს უარესს? ისინი თუ ჰხოცდნენ, ჰქლეტავდნენ, ჰქლეტავდნენ და ჰხოცავდნენ უცებ, საჩქაროთ. აქ ჰმუსრავენ ცოტ-ცოტათ, წვეთ-წვეთათ, ხანგრძლივი წამებით.

განა აივსო აქ ჩვენი საწყაო და ან ხმა-კი ამოვიღეთ სადმე ამაზე, ამ უჯათზედ, ამ წარმართობაზედ.?!..

და სხვა, და სხვა, და სხვა. შევსჭამეთ მამულები, დავკარგეთ მიწა-წყალი, და უდებთ ბოლოს ახლა ჩვენს მარჩენელს და შემნახველს ხალხსაც.

განა ან-კი შევნიშნეთ ეს ჩვენივე ხელით ჩვენი ხალხისა და შვილების ყელების დაჭრა?!.

ქართული ანდაზა არის: გიჟის სარჩოს ჭკვიანი იხმარებდაო.

როგორა გგონიათ, განა ისრეთი მდიდარია ქვეყანა, რომ ვინმე თავის სარჩოს ოხრათ ჰყრიდეს და არავის უჭირდეს ამ სარჩოს აკრეფა?

მითხარით, ვისა და რას გინდა დააბრალოთ ეს ჩვენი ასრე ოხრად უმიწაწყლოდ დარჩენა? განა ამაში ჩვენზე მეტი დანაშაული და ბრალი მიუძღვის ვისმე!? გადაავლეთ თვალი, როგორ და რაში გადავაგეთ ჩვენი სარჩო-საცხოვრებელი, ჩვენი სულის იქითი. თქვენ მგონი ქართლში ბრძანებულხართ და გაგონილი გექნებათ, რომ ერთი დიდი სათავადისშვილო მამული წავიდა ქართველების ხელიდამ ერთი კნეინას ერთს საკაბეში.

მიბრძანდით ტფილისს ფრანციცეების მაღაზიებში და წაიკითხეთ მათს წიგნებში მარტიროლოგი ჩვენი კნეინების ნისიებისა: წყვილი ჩულქი სამი თუმანი, ერთი ბალის კრუჟავოები ოც და-ათი თუმანი, ვიზიტის საკაბე ორმოცი თუმანი, ფერჩატკები 25 მანეთი და სხვა-და-სხვა. და ამგვარს კრუჟოვებსა და ჩულქ-ფერჩატკებში, სხვათა შორის, მიდის ჩვენი ხელიდამ ერთი უდიდეს და უკეთეს მამულთაგანი კახეთში, წავიდა ჩვენი ხელიდამ ქარვასლები, საუკეთესო მამულები ბორჩალოში, ტფილისის მაზრაში და მრავალს სხვა ადგილებში... ერთი ჩვენი სახელოვანი პოეტი, რომელიც გულის მოსაკლავი ლექსებით აძლევდა შეჩვენე-

მოახლოვება შეიტყეს თუ არა, ზოგმა თავს უშველა ცხენით, ზოგმა ხეზე ასვლით... არც სახლები დასტოვა ამ გამანადგურებელმა მდინარის მოდიდებამ უნახავად. სახლებიდამ ყოველივე ოჯახის მოწყობილობა არხეინად გაჰქონდა.... ისმოდა ხალხის წივილ-კივილი; ქვეყნის დაქცევა და წარღვნა ეგონებოდა ადამიანს; ქალი და კაცი თავს სახლის სახურავზე ასვლით იფარავდნენ და თან აჰყავნდათ ბაშვებიც. ყოველგან მხოლოდ ერთი გულის შემზარავი ხმა ისმოდა: „გვიშველეთ, გვიშველეთ ქრისტიანებო“. მაგრამ ვინ იყო მშველელი? ყველანი ერთს ტაფაში იწვოდნენ! ქალთა და კაცთა ტირილსა და გოდებას უერთდებოდა პირუტყვების ბღავილი. წყალმა მეორე დღეს იკლო. ადამიანი არ დარჩვალა, რადგან ყოველივე ესე დღით მოხდა. ხალხი უფრო უსაჭმლობამ შეაწუხა, რადგანაც ხორაგეულობა მთლად წყალს წაეღო. ზოგიერთებს თითქმის წლის სარჩო დაეღუპა. ზოგან სიმინდით სავსე სასიმინდეები წაიღო. დიდი ზარალი მისცა აგრეთვე მდ. აბაშამ აქაურს მცხოვრებლებს. სწორედ იმ დროს, როცა იქ ხალხი სიმინდს სტეხდა ჭალებში, მოვარდა აზვირთებული აბაშა და ერთიანად წაიღო.

ამბობენ, მუშაობის დროს ბევრი კაცი დაირჩოო. ერთის სიტყვით, დანარჩენს სამეგრელოს სოფლებსაც, სადაც მდინარეები მახლობლად ჩამოუდიოდა, ყველგან დიდი და საგრძნობი ზარალი მისცა წყალ დიდობამ; მრავალი წისქვილები და სახლები დაიტაცა. სამეგრელოს ზოგიერთი სოფლები ისეა დაზარალებული, რომ საძნელოდ მიგვაჩნია ასე ჩქარა აღნუსხვა დაზარალებულთა დანაკარგისა. არავის არ ახსოვს ა ეთი უბედურება წყლისაგან. მას აქეთ, დღე გამოშვებით სულ სწვიმს. ბუნება ერთობ ჭინჭყლიანობს.

ტრიფონ კალანდარაშვილი.

22 ნოემბერს, 1895 წ.

**სოფ. შხეფი** (სენაკის მაზრა). ნოემბრის თთვის პირველ რიცხვებში სოფ. შხეფში ერთი გულ-შემზარავი ამბავი მოხდა. ბაბილო კვირკველია მოჰკლა თავისმა მახლობელმა მეზობელმა კვირკველიამ. მიზეზი ამ სამწუხარო ამბისა მიწის დავა ყოფილა. ბაბ. კვირკველიას მიწა მიუცია შესამუშავებლად ხსენებულ კვირკველიასთვის; ხოლო წელს-კი უარი უთქვამს პატრონსა, ჩემს მიწას ხელს ნუ ახლებო. ამის გამო ამათ შუა მტრობას უჩენია თავი. ერთს დღეს ბაბ. კვი—ია თურმე წასულა თავის მამულში ფიჩხის მოსატანად. ამ დროს ხმა გაეგო შორიდამ: „ხელს ნუ ახლებ, თორემ, ღმერთი, რჯული მზე დაგიბნელდაო“. საწყალს ამისათვის ყურადღება არ მიექცია,—რა გინდა, ჩემს მამულში ვარ და არა შენსაშიო. ხელ მეორედ კიდევ დაუძახნა, მაგრამ მუშაობისათვის არც მაშინ დაენებებია თავი. შემდეგ იგრიალა თოფმა და საწყალი ბაბ. კვირ—ია მიწაზე მკვდარი დაეცა. მკვლელმა არც ამას აკმარა და რამდენჯერმე თავში წალდი დაჰკრა. საბრალომ მეორე დღემდის ვერ იცოცხლა. ამ საქმის გამო მკვლელი დატუსაღებულია და გამოძიება სწარმოებს...

კ-ლი.

## ორიოდე სიტყვა

ქ-ნ ბარბარე სულხანიშვილისას.

დიდის სიამოვნებით წავიკითხე და აღტაცებაში მომიყვანა თელავის ქართველ ქალების ამხანაგობის გარდაწყვეტილებამ. ვისურვებ, რომ ქალთა ამხანაგობას ამ დიდად სასარგებლო საგნისათვის ბოლო გაედევნებინოს. ნაყოფს რომ მოიტანს, ეგ ყველასათვის ეჭვს გარეშეა. მე კი, თქვენი უმორჩილესი მონა, ნებას ვითხოვ ერთის შენიშვნისას, რომელიც ჩემის აზრით, დააბრკოლებს თქვენის ამხანაგობისათვის წევრების შეძენას. მაგ. მე-7—9 მუხლში არის ნათქვამი, რომ წევრს არ შეუძლიან იყაროს სცენის მოყვარეთა გამართულ წარმოდგენაში მონაწილეობის მიღებაო“. ეს გარემოება, ჩემის აზრით, ვნებას მოუტანს ამხანაგებს მით, რომ ყველას კარგად მოეხსენება რა აზრისა არიან ქართველი ქალები სცენაზე გამოსვლაზე, არა თუ მდაბიო წოდებისა, ვგონებ, ბევრი მაღალი წოდებისაც, დააბრკოლებს ეს გარემოება და ამხანაგობას აღარ შეუერთდება. და ეს, რა თქმა უნდა, დიდს ვნებას მოუტანს ამხანაგობას, რადგანაც დაბალი წოდების ოჯახებში უფრო ბევრი საქმე ექნება.

ვგონებ, რომ ყველა ამხანაგის დავალება, რომ სცენაზე გამოვიდეს, საჭირო არ არის, რადგანაც ისედაც ბევრი შეგროვდება იმისთანები, რომელთაც ეცოდინებათ სცენის მნიშვნელობა; მაშასადამე, აღარც დაბრკოლდება წარმოდგენისათვის უქალობით. შემდეგ თითონ მიხვდებიან სცენის მნიშვნელობას და მაშინ დავალებაც საჭირო აღარ იქნება.

რაც შეეხება თქვენს დავალებას, რომ შეგატყობინონ ყველამ, სად რა ხელთ-საქმე არის გავრცელებული, დიაღაც რომ ყველა ქართველი, ორივე სქესისა, მოვალენი ვართ, რითაც შევიძლებთ, ხელი შევუწყოთ თქვენს კეთილს განზრახვას. ს. თიანეთში არის გავრცელებული ხალიჩებისა. ფარდაგებისა და ხურჯინების ქსოვა, ძნელად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ ფარდაგს მაინც არ ქსოვდეს და ვისაც შეძლება ნებას აძლევს მასალის შესაძენად, იმას ხომ მშვენიერად გაკეთებული ხალიჩებიც უმშვენებს ოთახს; მე განვიზრახე ხალიჩების საქსოვი იარაღი გავაკეთო და მოვართვა თელავის ქალთა ამხანაგობას, აგრეთვე აღმითქვა ქ-მა მ. პარასკევა—ბოდაევის ასულმა დაწვრილებით ახსნა ამ იარაღებისა და თუ საჭიროება მოითხოვს, როცა მასალა დამზადდება, თელავში მობრძანდეს ვინმე და აუხსნას ამხანაგებს ამ იარაღის ხმარება.

განმეორებით ვუსურვებ თელაველ ქართველ ქალთა ამხანაგობას გამარჯვებას, რომ სხვა ჩვენი კუთხის ქალებისათვის გამხდარიყვნენ მაგალითად და დაემტკიცებინოთ, რომ ჭორიკანაობისთვის დათმობილი დრო შეიძლება მოხმარდეს ისეთ კეთილს საქმეს, როგორიც არის თელავის ქართ. ქალთა ამხანაგობის განზრახვა.

თიანეთის სკოლის ხელობის მასწავლებელი ვარდენ გოცირიძე.

28 ნოემბერი 95 წელი. ს. თიანეთი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ.)

„ნიუ-იორკ ჰერალდ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი აი, როგორ ასწერს რუსეთის პოლიტიკას ოსმალეთის შესახებ:

რუსეთის მთავრობა დღითი-დღე და ყოველის საშუალებით აცხადებს, რომ მას არა სურს მხარი დაუჭიროს ინგლისის პოლიტიკას, რომელიც სცდილობს დანარჩენი სახელმწიფოებიც მიიმხროს და რაც-კი შეიძლება სდევნოს და არ მოასვენოს სულთანი. დღევანდელი რუსეთის პოლიტიკა-კი იმასა სცდილობს—რაც შეიძლება ხელი შეუშალოს ოსმალეთის დანაწილებას.

რუსეთის პოლიტიკოსთა სიტყვით, რომელთაც კარგად იციან, რა განზრახვა აქვს დღეს სახელმწიფოს, რუსეთს მხოლოდ მშვიდობიანობა სურს ჩამოაგდოს და დიდად უკმაყოფილოა იმ პირთა და ერთაგან, რომელთაც ასეთს არეულობასა და უწესობაში ბრალი მიუძღვით. ერთს დიპლომატს უთქვამს კერძო ლაპარაკის დროს, რომ ამ საგანში რუსეთის პოლიტიკაზე შესამჩნევი ზედ გავლენა აქვს ეგვიპტის ოკუპაციას ბრიტანიისაგანაო. საქმე იმაშია, რომ თუ ოსმალეთი დანაწილდება, ინგლისი ეგვიპტეში სამუდამოდ დარჩებაო. ინგლისი მხოლოდ შემთხვევას უცდის, რომ ეგვიპტე მთლად დაინარჩუნოს. ამის შესახებ ერთი ცნობილი დიპლომატი, რომელმაც კარგად იცის, რაში მდგომარეობს ინგლისის პოლიტიკა აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ, ამბობს: „ინგლისმა გარდასწყვიტა არაფრის გულისათვის არ დაანებოს თავი ეგვიპტეს, ასე რომ თუნდაც სერ ჩარლზ-დილკი გახდეს გარეშე საქმეთა მინისტრად, ისაც-კი ვეღარ შესცვლის ამ გარდაწყვეტილებასაო“.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

— კონსტანტინეპოლიდამ გაქცეულა ერთი ცნობილი ლიტერატორი და ადმინისტრატორი მურად-ბეი. მურად-ბეი დაღისტნელია, ავარიელი, რუსეთში მიუღია სწავლა-განათლება და ამ ოცის წლის წინად გადასახლებულა ოსმალეთში. ამ უკანასკნელ ხანებში სულთანის კამისარის თანამდებობა სჭერია ერთს სამინისტროში. ოდესღაც ჰქონია გაზეთი, საკმაოდ გავრცელებული. გაქცეულა და ორი წერილი დაუტოვებია, ერთი თავისის ცოლ-შვილისათვის და მეორე—ფინანსთა მინისტრისათვის. ფინანსთა მინისტრს სწერს: „თავს ვანებებ-რა ოსმალეთს, რომელიც ჩემი მეორე სამშობლოა და მიყვარს, იქნება უფრო ძლიერ, ვიდრე თვით ოსმალთა, მე მსურს მოგახსენოთ ორიოდე სიტყვა: ოსმალეთი იღუპება; მე უკვე ეხედავ მისთა უკანასკნელთა დღეთა და ღონე არ შემრჩა ამ უბედურ დღეს დავესწრა და ამიტომ მივდივარ. მე დამძრახვენ, ხოლო ღმერთმა ხომ იცის, რომ მე არა მეკიჟინება-რა, გულწმინდა ვარ. როგორც პატიოსანს კაცს და მუსლიმინს მე არ მინდა მუქთად ვჭამო დიდი ჯამაგირი. მე იმედი მაქვს და მწამს კიდეც ღრმად, რომ სხვაგან, უცხოთა შორის, უფრო გამოსადეგი ვიქნები, ვიდრე აქ. შემინდოს მე დიდმა ალაჰმა ჩემი შეცოდება, თუ არ ესე, სხვაფრივ ვერ მოვიქცეოდი. გთხოვთ ჩემს ადგილას სხვა დანიშნოთ და სხვებრ ღმერთსა ვთხოვ თქვენთვის ყოველს კეთილს. ვინ იცის, იქნება, ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევხვდეთ სხვა უფრო უკეთესს დროს“.

მურად-ბეის გაქცევამ დიდი ალიაქოთი ასტეხა, გააოცა არამც თუ მარტო ყველა მისი მცნობი და მახლობელი, არამედ თვითონ სულთანიცა. წერილებში ნაჩვენებია ისიც თუ—სად წავიდა, კავკასიაში მივდივარო, მაგრამ ჰფიქრობენ, რომ შვეიცარიაში წავიდაო. ხუთის დღის შემდეგ, რაკი შეიტყეს გაქცევა, მთავრობამ მისი ძმა გაჰგზავნა საძებნელად და ამისათვის კარგა ფულიც მისცა, ხოლო ჰგონიათ, რომ ესეც თავს უშველის და აღარ დაბრუნდებაო (მ. ვ.).

— ამბობენ, რომ 19-ს ნოემბერს სულთანს სიკვდილი დაუპირესო; აი როგორ მოგვითხრობენ ამ ამბავს. შუადღისას საუზმის შემდეგ სულთანმა მოისვენა თავისს ოთახში. შუადღის ორს საათზე ჰარამხანიდამ შეჰპარვია დედა-კაცი. თუმცა დიდის სიფრთხილით შესულა, მაგრამ სულთანს გამოღვიძებია. „აქ რა გინდა შენ“, უკითხავს სულთანსა. დედა-კაცს შეჰშინებია. ამ დროს შესულან ექვსი კაცი სასახლის მოხელეთაგანი ოსმალონი. მაშინ სულ მთლად გონება დაკარგულს დედა-კაცს დაუკივლია შიშით და ამ კივილს უშველია სულთანისათვის. კივილი გაუგონიათ მცველებს, შემოცვივნულან და ყველანი იქავ დაუჭერიათ. აშკარაა, დედა-

---

ბას ჩვენს ამგვარს მამულების ფლანგვას, ამავე დროს თვითვე ჰფლანგავდა თავისს მამულებს და ჩაუგდო ისინი ხელთ უცხო თესლთ, უცხო ტომის ხალხთ... აბა მოსძებნეთ და ჰნახავთ ჩვენში მასაც, რაც სხვაგან ითვლება ანახრონიზმად. ჰნახავთ ჩვენს დიდებულს მებატონეთა შორის, რომ ძაღლებზე ჰხარჯავდნენ ასსა და ათას თუმნობით წელიწადში, და ამავე დროს რომ უთხრათ: რუსეთსა და საზღვარ გარეთ ჩვენი მოსწავლე ყმაწვილობა, ჩვენი ქვეყნის მომავალი ნუგეში სიმშილით იმუსრებაო,—გროშს ვერ ამოაღებინებ ჯიბიდამ.

დიახ, არამც თუ კამელიებს, არამც თუ ბლოტებს, ჰერვიეის, ჟაგეეებს, ეფშტეინებს და სხვა ამ გვარებს ვაჭმევდით ჩვენს სარჩოს; არამც თუ ღვინოსა, ათინის ღამეებსა, ციგანკებს, აკტრისებს, აკტიორებს, ვოლტიჟორკებს და ქაღალდის თამაშობაში ვსჭამდით ჩვენი საშვილის-შვილო მომავალს ბედს, ჩვენ ვგლეჯამთ სიმშილისა და გაჭირვებისაგან მიხწეულს გლეხს თავის ოფლს და ვაყრით ძაღლებს პირში, ვაჭმევთ იმათ ჩვენს საცხოვრებელს და ამავე დროს გავიძახით: შემოხიზნულთ შეგვჭამეს, საწყაო ჩვენი მოთმინებისა გაავსესო... განა გამოჩნდა ჩვენში ერთიც არის მთქმელი, რომ ძაღლებზე ჩვენი მომავალი ბედის გადამგებს არა აქვს ადგილი ჩვენს საზოგადოებაში?!.

გადავავლოთ სხვა მხარეს თვალი ჩვენი მოქმედებისას. სდგებოდა ბანკი, როგორც პროექტი მაშინდელი ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა წინამძღომელი ყიფიანისა ამბობდა, ჩვენი საბოლოვოს დასაცველად, ჩვენი შვილების დასაზრდელად, ჩვენში სწავლა-განათლების გადმოსანერგველად. განა ამაში ჩვენმა პირველი მამულის პატრონებმა—თვითო-ოროლას გარდა—და მაღალმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა? არამც თუ მონაწილეობა არ მიიღეს, პირ-იქით უშლიდნენ ამ საქმეს ყოველი თავის ძალით, ყოველი თავის ღონით ხელს, რომ არ შემდგარიყო ეს ჩვენი საბოლოვო საქმე, და არამც თუ ამ კეთილს საქმეს, თვით ამის მომგონს ყიფიანსაც გაუხდნენ მტრად და არა ჰზოგავდნენ თვით დასაბეზღებლადაც. განა ჩვენი მოთმინების საწყაო აღივსო მაშინა?! პირ-იქით, ჩვენ გულის მოსაკლავი ზარით მივტიროდით მათს კუბოებს და თუ ხელი არავის ეტაცა ჩვენთვის კალთებში, ვაპირებდით თან საფლავში ჩაყოლებას, და მოთქმით ვიძახოდით: განა დედა თქვენგვარს შვილს კიდევა ჰშობავსო!!.

ვინ იყვნენ, ბატონო, რომელთაც მთელი აგიტაცია გამართეს თავად-აზნაურთა სასწავლებელთა კასის გამართვის წინააღმდეგ და ჩაშალეს იგი?!. გახლდნენ ისინი, რომელთაც თავისი შეძლებით შეუძლიანთ მთელი გიმნაზიებისა და უნივერსიტეტების შენახვა, თავის ქონებას აბნევენ ბზესავით, და ამავე დროს გაიძახოდნენ, რომ სამი წლის განმავლობაში ჩვენ არა გვაქვს შეძლება ჩვენი შვილების გასაზრდელად ორმოცი თუმანი შემოვიტანოთო.

ვინ იყვნენ, ბატონო, ისინი, რომელნიც ეკითხებოდნენ ხერსონის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს, რა სჯობიან: ჩვენ მოვუაროთ ჩვენს სახარჯო ფულს თუ სხვას ჩავუყაროთ ჯიბეშიო? ჩვენ უფრო შეგვტკივა ჩვენთვის და ჩვენი მომავლისთვის გული თუ გადამთიელს კაცსაო? ჩვენ უფრო მივხვდებით ჩვენს გასაჭირს, თუ უცხო, უცნობი კაციო?—ესენი გახლდნენ ჩვენი თავკაცნი ცოდნით, შეძლებით, მდგომარეობით.

მაშინ, როდესაც სასულიერო წოდება შემოხიზნულთა ჰქადაგებდა გატაცებით, დაუცხრომელის ენერგიით სამშობლო ენის აღდგენას, თავისის ერისა თავისს ხარისხზე დაყენებას, როდესაც ამ შემოხიზნულთა ყოველი მოძღვარი იდგა ყოველს სულს თავისს სამწყსოსას და ცოცხალსა და მომაკვდავს ჩასძახოდა: შესწირე ნაწილი შენი სარჩოსი ჩვენს საშვილიშვილო საზოგადო საქმესაო, და ამითი მილიონობით აგროვებდნენ თავისის ერის საბოლოვოს აღსადგენად,—რას სჩადიოდნენ ჩვენი მოძღვარნი?!.

მაშინ, როდესაც ამ შემოხიზნული ხალხის სამღვდელოება სპობდა და ჰკრძალავდა თავისს ერში ხალხთა გასალატაკებელს და უმეცრების გამავრცელებელს ცრუ-მორწმუნოებათა: მოსპეს ქელეხები და ათასი ამგვარი მეტი ხარჯები,—რას სჩადიოდა ჩვენი სამღვდელოება? ის თვითონაც სიამოვნებით ჰსარგებლობდა ამ თავისის ხალხის უმეცრებით, ცრუ-მორწმუნოებით, დამღუპავის ხარჯებით...

მაშინ, როდესაც ჩვენი გასათხოვარი ქალები ატარებდნენ დროს въ васъ влюблен ს თამაშობაში, უკეთეს საქმედ მიაჩნდათ я отъ него безъ ума-ს ძახილი და ქართულს წითელი კვერცხითაც ვერ ალაპარაკებდი,—ამ დროს გასათხოვარი ქალნი ჩვენი შემოხიზნული ხალხისა დადიოდნენ კიდითი-კიდეთ, სწინით ეძებდნენ თავისის მოდგმის ყოველს ქვეყნის კუთხეს გაფანტულს და გადაგვარებულს ხალხს, უღვიძებდნენ თავისი ძველი სამშობლოს სიყვარულს, აგონებუნენ თავისს ვინაობას; შეასწავლეს საუკუნეთაგან დაკარგული ძველი სამშობლო ენა, გამოაღებინეს მილიონობით ფული თავისს საზოგადო საქმეთათვის.

მაშინ, როდესაც ამ შემოხიზნული ხალხის მუშანიც-კი სიკვდილის ჟამს სწირავდნენ ათასობით და შეძლებაზედ კიდევ მეტს თავისს საზოგადო საქმეებს,—მაჩვენეთ ერთი ქართველი მდიდარი, გროში, გროში რა არის, გროში შეეწიროს სიკვდილის ჟამს ჩვენი საზოგადო საქმისათვის.

(შემდეგი იქნება).

კაციც შეთქმული ყოფილა და როცა საქმე საქმეზე მისულა, დამფრთხალა და შეშინებია. დამნაშავენი მაშინვე დასატყვევლად წაუსხამთ. ამბობენ, რომ ეს საქმე დაუწყვიხულთანის ძმას, რომელიც, როგორც სხვა დანარჩენი პრინცებიც, კარგა ხანია დამწყვდეულნი არიანო. (მ. ვ.)

— ეხლახან ბერლინის მკვიდრნი აუწერიათ და აღწერა გამოუცხადებიათ. ამ აღწერილობიდამ სჩანს, რომ ბერლინში ამხანად 1,674,115 სული სცხოვრებს. ამათში 797,186 მამა-კაცია და 876,929 დედა-კაცი.—1880 წ. ბერლინში ყოფილა: სულ 1,222,330 მცხოვრებელი, 1885 წ.— 1,315,287, 1890 წ.—1,578,794. (ნ. ვ.)

— კარგა ხანია მოგონილია იმისთანა საწერი ქაღალდი, რომელიც ცეცხლში არ იწვის. ეს ამისთანა ქაღალდი, რა თქმა უნდა, კარგი რამ არის, რადგანაც ძვირფასს გუჯრებს და სხვა დოკუმენტებს უშიშრად ჰხდის ცეცხლისაგან. ხოლო ამისთანა დოკუმენტების უშიშრად შენახვისათვის საკმაო არ არის მარტო უშიშარობა ქაღალდისა. საქმე ის არის, ცეცხლისაგან უშიშარ იყოს თვით მელანიცა, რომლითაც დოკუმენტი იწერება. შეტყობილია, რომ ცეცხლისაგან უშიშარ ქაღალდზე ნაწერი ისე ფუჭდება, თუ ცეცხლი შეეხო, რომ ნაწერს ველარ არჩევენ, თითქო მელანი იწვის და იშლება. ეხლა იმისთანა მელანსაც აკეთებენ, რომ რაც გინდ ცეცხლში ჩააგდო ცეცხლისაგან უშიშარ ქაღალდზე დაწერილი რამ, არაფერი თურმე არ დაუშავდება ნაწერს. აი რა წამლებია თურმე საჭირო ამისთანა მელნის გასაკეთებლად. უნდა აიღოთ წონით 14 წილი გოგირდ-მჟავე ლილა (сѣрно-кислое индиго), 35 წილი რკინის შაბიამანი (желѣзный купоросъ), 35 წილიც ტინქტურა მელნის კაკლისა (тинктура чернильныхъ орѣшковъ), 40 წილი გრაფიტი, ძალიან წვრილად დაფხვნილი, და 70 წილი კოპალი (копалъ). ყოველი ეს ერთმანეთში არეული გახსენით წყალში, აადუღეთ, კარგად იხარშოს. წყალი იმდენი უნდა, რომ მოხარშვის შემდეგ კარგა მუქი ფერი ჰქონდეს. მერე გააციეთ და ჰურჭელში ჩაასხით. გამოუცდიათ, რომ თუნდაც ცეცხლისაგან უშიშარი ქაღალდი დიდს ცეცხლში ჩააგდოთ, ერთი ასოც არ შეიშლება თურმე, თუ ამისთანა მელნით დაწერილია. (ნ. ვ.).

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** 7 დეკემბერს (26 ნოემბერს), იმ დროს, როდესაც სალამალეკის შემდეგ მეჩეთიდამ უკან დაბრუნდა სულთანი, ვიღაც ოსმალომ ჯარი გაარღვია და სულთანის ეტლისაკენ გაექანა ხელში თხოვნით. ეს კაცი მაშინვე დააპატიმრეს. სულთანი საშინლად შეშინდა და მთლად გაფითრდა. თხოვნა რა შინაარსისა იყო არ იციან.

—

ნოემბრის უკანასკნელ რიცხვებში ოსმალოთა სხვა და-სხვა უბანში მრავალი აფიშა უპოვნიათ, რომლებშიაც დღევანდელს სახელმწიფო მართვა გამგეობას დიდს ბრალსა სდებენ. პროკლამაციას აწერია: „ოტტომანის კომიტეტი პროგრესისა და შეერთებისა“. ამის გამო მრავალი კაცი დააპატიმრეს და უფრო გააძლიერეს სხვა და-სხვა გასაფრთხილებელი საშუალებანი.

## საქართველოს თავადნი.

—

თავადნი ანდრონიკაშვილნი. საქართველოს მეფის როსტომის 1654 წლის გუჯარში გარსევან ანდრონიკაშვილი თავადად არის წოდებული.

თავად ანდრონიკაშვილთა გვარეულობა კახეთის თავადთა სიაშია მოხსენებული, რომელიც საქართველოს მეფის ერეკლე II-ის მიერ 1783 წ. რუსეთის მთავრობასთან შეკრულს ტრაქტატსა აქვს ზედ დართული.

25 მარტს 1826 წელს უმაღლესად დამტკიცებულის სახელმწიფოს საბჭოს განჩენით თავადად ცნობილ არიან და მე V გვარეულობათა წიგნში შეტანილნი: 1) თომა სვიმონის ძე და შვილნი მისნი: იაგორა და დიმიტრი; 2) პოდპოლკოვნიკი თავადი იოსებ მელქისედეკის ძე თავისის შვილით იასეთი და მმისწული მისი ლეიბ-გვარდიის ცხენოსან რაზმის კორნეტი ივანე მალხაზის ძე; 3) ივანე იასეს ძე და შვილნი მისნი იასე და ზურაბი; 4) ივანე სოლომონის ძე და შვილნი მისნი: სოლომონი, რევაზ და იოსები; 5) ზურაბ სოლომონის ძე; 6) კაპიტანი აბელ თამაზის ძე და შვილნი მისნი: პრაპორშჩიკი თამაზ, გიორგი და ზაქარია; 7) დავით, გრიგოლი და პაატა მზეჭაბუკის ძენი და 8) ადამ იესეს ძე ანდრონიკაშვილნი.

უმართებულესის სენატის დადგენილებით 13 ივნისს 1849 წ., 2 აგვისტოსა და 20 დეკემბერს 1850 წ., 3 სექტემბერს 1852 წ., 13 იანვარს 1854 წ., 27 მარტსა და 4 სექტემბერს 1857 წ., 24 ნოემბერს 1871 წ. და 20 სექტემბერს 1872 წ. ამ გვარს შეუერთდნენ: 1) ნიკოლოზ, ივანე, მიხეილი, ზაალი და აბელ გიორგის ძენი; 2) ზაქარია, ალექსანდრე და ილია პაატის ძენი; 3) გიორგი ზურაბის ძე; 4) ზურაბ და გიორგი ადამის ძენი; 5) ზაქარია იესეს ძე; 6) არჩილ ივანეს ძე; 7) ზაქარია თომას ძე; 8) სვიმონ თომას ძე და შვილნი მისნი: ნიკოლოზ და მიხეილი; 9) ლუარსაბ და ალექსანდრე ზაქარიას ძენი და 10) აბელ ივანეს ძე და შვილნი მისნი: მიხეილი, ნიკოლოზ, ლევანი, ილია და ვლადიმირ ანდრონიკაშვილნი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

1 დეკემბერი.

**ბათუმი.** მოვიდა „რუსეთის საზოგადოების“ გემი „ოლღა“; ფოსტის განყოფილების დათვალიერებამ აღმოაჩინა, რომ გემიდამ მოპარულია ტფილისში გაგზავნილი ფულის ყველა პაკეტები და ყველა დოკუმენტები.

**ოდესა.** „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების“ კასსირს დაუხარჯავს „საზოგადოების“ ფული 40 ათასი მან. და გაპარულა. იმავე „საზოგადოების“ ბუხგალტერს ნალეპინსკის, რომელსაც სწამებდნენ ფულის დახარჯვაში მონაწილეობის მიღებას, თავი მოუკლავს.

**სიმფეროპოლი.** სიმფეროპოლის საბჭოს საოცარი ამბავი შეემთხვა: რადგანაც ნოემბერში საბჭოს კრება ორჯელ ვერ შესდგა ხმოსანთა მოუსვლელობის გამო, ქალაქის საბჭოს საქმეები, რომელნიც ნოემბერში უნდა გარდაეწყვიტათ, გუბერნატორს გარდაეცა გარდასაწყვეტად.

**ბრიუსელი.** ამბობენ, მოსკოვში საგვირგვინო დღესასწაულებზე ბელგიის წარმომადგენლად დაინიშნება პრინცი ალბერტიო.

**კონსტანტინოპოლი.** ერთ და იმავე დროს დარდანელზე გაიარეს იტალიის მეორე სტაციონერმა „არხიმედმა“ და ბრიტანიის „დრიადამ“.

**რომი.** ამბალაჯირთან ბრძოლაში 2450 იტალიელი იღებდა მონაწილეობას.

**ბერნი.** შვეიცარიის პრეზიდენტად მომავალ 1896 წლისათვის არჩეულ იქმნა ჟენეველი რადიკალი ლაშენალი, პრეზიდენტის თანაშემწედ ტურგაუელი რადიკალი დეიხერი.

2 დეკემბერი.

**ვენა.** აქ უნდა ჩამოვიდეს 150 გალიციელი, რომელთაც სურთ იმპერატორთან იჩივლონ იმის გამო, რომ გალიციის მმართველობამ ბოროტად მოიხმარა თვისი უფლება არჩევნების დროს. მინისტრ-პრეზიდენტი თანახმა არის, რომ დეპუტაცია იმპერატორს წარუდგეს.

**ლონდონი.** პარლამენტი 30 იანვრისათვის იქნება მოწვეული.

სამხედრო მინისტრად ნამყოფმა—კემბალ ბანერმანმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც სხვათა შორის ამბობს, რომ ახლანდელი აღმოსავლეთის კრიზისი და ქრისტიანთა ტანჯვა შედეგია ბერლინის ტრაქტატისაო. „სოლსბერიმ და ბიკონსფილდმა მაშინ გამოაცხადეს, რომ ბერლინის ტრაქტატი მშვიდობიანობას მოგვანიჭებს, მაგრამ ნამდვილად-კი სისხლის ღვრა არ შეწყვეტილა“. ოპპოზიცია იხელმძღვანელებს ამ სიტყვით.


# განცხადებანი

ივანე იაკობის ძე

## დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.

(5—1969—5).

## ქ. თელავს

**იაფად ისყიდება ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი** ეზოთი, ბაღჩითა და ქვითკირისავე გალავნით. ძირის სართულში მოთავსებულია დუქნები, ხოლო ზევითი სართული მოწყობილია საცხოვრებლად. გორისჯვრის ეკკლესიის პირ-და-პირ, ძველგალავანში. სყიდვის მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ სახლის პატრონს ამ ადრესით:

Г. Владикавказъ, Александровскій пр., собств. домъ, Давиду Давидовичу Баиндурову.

(8—2023—7).

ახალი გამოცემანი:

## სამზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

**ფასი მანეთ ნახევარი.**

# ОТКРЫТА ПОДПИСКА

НА **1896** ГОДЪ

на новую политическую общественную и литературную

ГАЗЕТУ

## „КАЗБЕКЪ“.

Газета будетъ выходить во владикавказѣ три раза въ недѣлю по воскресеньямъ, вторникамъ и четвергамъ

**ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:**

1) Дѣйствія и распоряженія Правительства.
2) Статьи по экономическимъ, этнографическимъ, бытовымъ и другимъ вопросамъ, касающимся Кавказа вообще и Терсвой области по преимуществу.
3) Хроника: мѣстныя происшествія, извѣстія внутренния и внешнія, съ указаніемъ ихъ источниковъ.
4) Корреспонденціи изъ разныхъ мѣстъ и телеграммы.
5) Судебная хроника безъ обсужденія рѣшеній.
6) Фельетонъ, новости изъ области наукъ и искусствъ, повѣсти, разсказы, очерки оригинальные и переводные, статьи популярно-научнаго содержанія.
7) Смѣсь, справочныя свѣдѣнія и объявленія.

Подписная цѣна: съ доставкою во владикавказѣ на годъ 6 руб., на 6 м. 3 р. 50 к., на 3 м. 2 р. и на 1 м. 75 к., съ пересылкою по почтѣ на годъ 7 руб., на 6 м. 4 р. на 3 м. 2 р. 50 к. на 1 м. 1 р. отдѣльный нумеръ 5 коп.

Подписка и объявленія принимаются у издателя

**СЕРГѢЯ ІОСИФОВИЧА КАЗАРОВА.**

Издатель С. КАЗАРОВЪ. Редакторъ А. КОЛУБЕЙКО.

R. S. газета будетъ выходить съ Декабря мѣсяца 1895 г. и разсылаться годовымъ подписчикамъ безплатно.

დაიბეჭდა მეორე გამოცემით

## იავ-ნანამ რა ჰქმნა

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა.

წიგნი შემკულია რვა სურათით, რომელნიც მკითხველს თვალწინ უდგენენ: 1) ზურაბ ქართველაძეს და მისს ცოლს პატარა ქეთოთი, როდესაც ქმარი უკრავს თარზედ და ცოლი დამღერის; 2) ქეთოს მოტაცებას ტყეში ლეკებისაგან; 3) ქეთოს ყიდვას ნაიბისაგან; 4) ქეთოს მოტაცებას ათის წლის შემდეგ მამის მიერ; 5) ქეთოს მოყვანას შინ; 6) დედა მღერის „იავ-ნანასა“ და ქეთო გონზედ მოდის, ცნობულობს დედას და იგონებს თავისს ბავშვობასა; 7) ქეთო ხელებ გაშლილი მირბის დედისაკენ; 8) დედა და შვილი ერთმანეთს ეხვევიან. წიგნი ისყიდება დამკვეთელთა წიგნის მაღაზიებში: ტფილისში წერა კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისში ბეჟანეიშვილთან და ჭილაძესთან, ოზურგეთსა და სენაკში თავართქილაძესთან. ფასი ყველგან ორი შაურია. (10—6)

L'URBAINE

УРБЭНЪ

Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება აჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(40—26)


Дозволено цензурою, Тифлисъ 2-го Декабря 1895 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.